ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

8 დეკემბერი, შაბათი, 1990 წ.
№ 233 (10 402) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

წარმოგიდგენთ კანდიდატებს: საქართველოს ათი საუკეთესო სპორტსმენი.

გუნდი. მწვრთნელი

# ჩემპიონის მონოლოგი

**ხშირად** არ ვიცი, მე კი მტკიცედ მჯერა: დავით გობეჯიშვილს წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირი, კეთილი ნების თამაშები და მსოფლიო პირველობა რომ არ მოეგო და ვერც მსოფლიო თასის ფინალში მიეღო მონაწილეობა (ხადაც II საპრიზო ადგილი დაიკავა), წლის საუკეთესო სპორტსმენთა შორის მაინც დაასახელებდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ დათოს ყოველ ტურნირში უბრალო მონაწილეობაც კი მის გულშემატკივრებს ნერვების დაწყვეტის ფასად გვიღირდა. მის წინააღმდეგ რაღაც განსაკუთრებული ენერგიით ამოქმედდა „ცენტრული" მანქანა, რომელიც ყოველი შეჯიბრების წინ ათასგვარ ბარიერს ალუმართავდა. ღვთის მადლით, ჩვენს ფალავანს დინჯი ბუნება აქვს და მასზე ასეთი გამოხდომები არავითარ კვალს არ ტოვებს. სწორედ ამ ბუნების წყალობით დათო ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ორთაბრძოლებში, ამიტომაც იყო, რომ წელს ჩვენი გაზეთის პირველი გვერდი არაერთხელ დაუმშვენებია გამარჯვებული დავით გობეჯიშვილის ფოტოს.



**● დათო, 1990 წელი განსაკუთრებული იყო ჭიდაობის მოყვარულთათვის. ამ შემთხვევაში არამარტო მოჭიდავეთა წარმატებები მაქვს მხედველობაში, არამედ ის დაძაბულობა, რომელიც თან ახლდა თითქმის ყოველ ტურნირს. არც ერთი შეჯიბრების წინ ზუსტად არ ვიცოდით, მიიღებდა თუ არა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზის თასის მფლობელი, ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი ამა თუ იმ ტურნირში მონაწილეობას...**

— ყველაფერი საკავშირო პირველობით დაიწყო. წელს ეს ტურნირი გაურკვეველი წესებით ჩაატარეს. არის ასეთი მწვრთნელი ანოპკო, რომელიც ამჟამად დისერტაციაზე მუშაობს. მისი შრომა ითვალისწინებს ახალი სისტემით შეჯიბრებების ჩატარებას. სწორედ ამ დისერტაციის „მსხვერპლი" გავხდი. ჯგუფები ისე შეადგინეს, რომ ფავორიტები, განსაკუთრებით კი ქართველები, ერთ ჯგუფში მოვხვდით. მართალია, ჯგუფში პირველ ადგილზე გავედი, მაგრამ შემდეგ, რაღაც ჯვარედინი დაწყვილება შემოიღეს... მეც „დავამავე", მედვედი ღირსეულ მოწინააღმდეგედ არ ჩავთვალე, ცოტა მსაჯიც წაეხმარა და საბოლოოდ ჩემს მოწინააღმდეგეს აუწიეს ხელი. ამ შეჯიბრების შემდეგ, ასე ვთქვათ, „სახელი გამიტყდა", ჩემი „უძლეველობა" ჩრდილში მოექცა, რამაც შემდეგში სათუო გახადა ჩემი ამა თუ იმ ასპარეზობაში მონაწილეობა. თუმცა, უშუალოდ ბრძოლის დასრულების შემდეგ უფროსი მედვედი შემოვიდა გასახდელში და მითხრა, რომ მიუხედავად მარცხისა, კეთილი ნების თამაშებზე მე წავიდოდი. მართლაც, სიეტლში თითქმის „უმტკივნეულოდ" მოვხვდი. ქართველი მკითხველი კარგად არის ინფორმირებული ამ ტურნირის შესახებ, ამიტომ, სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ამერიკიდან ჩამოსულმა ნაკრების უფროს მწვრთნელს ვკითხე: მოვემზადო მსოფლიო პირველობისათვის თუ დავისვენო-მეთქი. მან გადაწყვეტილად მითხრა: დაისვენე, შეკრებაზეც ნუ ჩამოხვალო. მაინც წავედი. იქ კი უკვე ამგვარი სიტუაცია დამხვდა — ყველამ იცოდა, მედვედი არც იყო და არც არის იმდენად ძლიერი, რომ მსოფლიო პირველობაზე მოხვედრილიყო, მიუხედავად ამისა, მაინც შეგვახვედრეს ერთმანეთს. ადვილად დავამარცხე — 6:0. მეტითაც შეიძლებოდა მომეგო, მაგრამ საჭიროდ აღარ მივიჩნიე. გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე და „პირადი რეიტინგის" მიხედვით, მე უნდა წავსულიყავი, თუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შედეგებით იმსჯელებდნენ, მაშინ — თურმანიძე. მედვედი ყოველნაირად განზე რჩებოდა. მწვრთნელთა საბჭოში ოცი კაცია, მასში ოლიმპიური ჩემპიონებიც შევდივართ. მედვედმა მხოლოდ ორი ხმა მიიღო — მამამისის და მისი მეგობრის. ასე მოვხვდი მსოფლიო პირველობაზე.

**● ჩვეულებრივ ასეა, ადამიანი რაც მეტ წინააღმდეგობას აწყდება, უფრო მეტი ჟინით იბრძვის გამარჯვებისათვის. თქვენ?**

— მეც ასე ვარ — რაც მეტი ბარიერის დაძლევა მიხდება, მით უფრო მიცხოველდება ინტერესი. მაშინ მოგებასაც სხვა ფასი აქვს. ჩემზე ძლიერი კაცი არასდროს მძულდა, პირიქით — პატივს ვცემდი კიდეც. ასეთი იყო ჩემი და ასლან ხადარცევის ურთიერთობა. მე მას ყოველთვის სიხარულით ვხვდებოდი, იმიტომ, რომ მუდამ მჯეროდა, ჩვენს შორის ნაღდი, უხინჯო ბრძოლა წარიმართებოდა. სამწუხაროდ, ასლანი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის წინ დაილუპა და, ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ამ ტურნირს ჯანსაღი კონკურენცია აკლდა.

**● რამდენადაც ვიცი, თქვენსა და ხადარცევს შორისაც გამართულა სპარინგ-მატჩი. მაშინ თუ ერეოდნენ ფუნქციონერები ნაკრების დაკომპლექტების საქმეში?**

— ოლიმპიადის წინ 31 წუთი ვიჭიდავეთ მე და ასლანმა. იმ წელს ყველა შეჯიბრება მოგებული მქონდა და, აქედან გამომდინარე, ვიმსახურებდი ოლიმპიადაზე წასვლას; ასლანს კი წინა დამსახურების ხარჯზე უპირებდნენ სეულს გამგზავრებას. თან იმ წელს ეტყობოდა, რომ ფიზიკურად მზად იყო ისეთი დიდი ასპარეზობისთვის, როგორიც ოლიმპიადაა, ამიტომ შეგვახვედრეს ერთმანეთს.

**● ბაუმგარტნერთან შეხვედრაზე რას იტყვი? ფსიქოლოგიურად როგორ ემზადებოდი ამ ბრძოლისათვის?**

— ჯერ კიდევ ჩემი ბიჭობიდან მომდევს გამარჯვების ჟინი. ყოველთვის ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ ყველაზე ძლიერი ვარ და ყოველ დუელში გამარჯვებულიც მე უნდა გამოვიდე. ეს თვისება, ალბათ, ჩემი ხასიათიდან მოდის. განსაკუთრებულად არც ერთი შეხვედრისათვის არ ვემზადები, უბრალოდ, ჩემს თავს ვაგულიანებ, უნდა დაასწრო და აჩვენო შენი ძალა და შესაძლებლობა. უშუალოდ შეჯიბრების წინ კი არასდროს ვიხსენებ ძველ შეხვედრებსა და მათ შედეგებს.

**● მრავალ პრესტიჟულ პირველობაზე გაგიმარჯვია. წელსაც ასე იყო. როდესაც პროფესიონალ სპორტსმენს ვესაუბრები, ყოველთვის მაინტერესებს, როგორი ანაზღაურება აქვს მას, იმიტომ კი არა, სხვის**

იხ. მე-2 გვ.

# ბარე ორ შეხვედრას „ეყოფოდა"...

**ერთთვიანი** შესვენების შემდეგ განახლდა საკავშირო ჩემპიონატები კალათბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა გუნდმა უმასპინძლა ტირნიაუზის „ვოლფრამს". ეს გუნდი საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტია. წელს, გაზაფხულზე მოიპოვა პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლება. ჩვენს გუნდს, რომელიც ახალ სეზონში პირველად თამაშობდა თბილისელი მაყურებლის წინაშე, დალხინებული ცხოვრება ნამდვილად არა აქვს — წამყვანი მოთამაშეების წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად, ერთი ცენტრის მოთამაშით უხდება თამაში. ამ შეხვედრაში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 76:62 (48:37).

თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდის მეტოქე კრასნოდარის „იმპულსი" გახლდათ, რომელიც მასპინძელთათვის მეტად უხერხული მეტოქე გამოდგა. საერთოდ, თუ სპორტში ბედი არ გწყალობს, ძნელია წარმატების მიღწევა. ამ თამაშში ჩვენი გუნდის წევრებმა იმდენჯერ ააცილეს ბურთი კალათს, ბარე ორ შეხვედრას „ეყოფოდა". ამას დაემატა გელა დარსაძის არყოფნა, რომელსაც კვლავ ტრავმა აწუხებს. საბოლოოდ, 89:76 (45:46) — გაიმარჯვეს სტუმრებმა.

მომდევნო თამაშებს ჩვენი გუნდები კვლავ შინ გამართავენ: ქალები—8 დეკემბერს, ვაჟები—9 დეკემბერს.

**გია გურდული**



**სურათზე:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ტირნიაუზის „ვოლფრამის" ქალთა გუნდების შეხვედრის ეპიზოდი.

**ა. კოტორაშვილის ფოტო.**

# მკლავჭიდელთა არჩევანი

**გაიმართა** საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ვახტანგ მუსელიანი, რომელიც პარალელურად ტექნიკური დირექტორის მოვალეობასაც შეასრულებს.

ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორად არჩეულია თემურ გიორგაძე.



მომენტი „ელმავალ" — „აიას" უკანასკნელი მატჩიდან. რიონისპირელთა „ბერმუხის" — ალექსანდრე ნაჭყებიას თავგამოდების მიუხედავად (სურათზე, მას ბურთი ხელთ უპყრია), თბილისელებმა გაშლილად ბურთაობაში აიყოლიეს მეტოქე და გაიმარჯვეს — 33:6.

**გია ახალაძის ფოტო.**

# ფინალი: საქმოც და პრინციპულიც

**ბოლო** ხანია, ქართული რაგბის სამყარო დიდი მატჩის მოლოდინით სულდგმულობს. ხვალ, 9 დეკემბერს, თბილისის ვაკის სტადიონზე, დღის ორ საათზე დაიწყება საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის ფინალი, რომელშიც აქამდე დაუმარცხებელი თბილისის „ელმავალი" ორწრიან შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გასულ ქუთაისის „აიას" უმასპინძლებს, გამარჯვებული საქართველოს 23-ე ჩემპიონად გამოცხადდება და სამხატვრო აკადემიის მორაგბეთა მიერ დამზადებული ბრინჯაოს რაგბის ბურთით დაჯილდოვდება.

## ცოტა რამ მატჩის რეგლამენტის შესახებ:

თუ თამაშის ძირითადი დრო — 80 წუთი, ფრედ დამთავრდა, დაინიშნება ორი დამატებითი ათწუთიანი ტაიმი. თუ თანაფარდობა არც დამატებითი დროის შემდეგ დაირღვა, უპირატესობა მიენიჭება გუნდს, ვისაც მთელს შეხვედრაში მეტი ლელო ექნება გატანილი. ამ მაჩვენებლის ტოლობისას ჩემპიონად „ელმავალი" გამოცხადდება, რაკიღა მას მთელს შეჯიბრებაში უკეთესი შედეგი აქვს.

## ისტორიასაც მოვავლოთ თვალი...

ახლა, როცა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის ბოლომდე ოღენ ფინალური შეხვედრაღა დარჩა, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება, თვალი ამ შეჯიბრების ისტორიისათვისაც მოგვევლო — გაგვეხსენებინა ის გუნდები, წინა ტურნირებში რომ უსახელებიათ თავი; და კიდევ, დაგვედგინა ის ტენდენციები, ქართული რაგბი დღევანდელობამდე რომ მოიყვანა.

მაშ ასე, რაგბი საქართველოში რუსეთიდან გავრცელდა. ეს 1960 წელს მოხდა. მაშინვე შეიქმნა პირველი სტუდენტური გუნდები და პირველი შეჯიბრებებიც გაიმართა, და მაინც, საქართველოს პირველი ოფიციალური ჩემპიონატი მხოლოდ 1967 წელს მოეწყო. საქმე ისაა, რომ ამ წელს თბილისის გუნდების მხარდამხარ შეჯიბრებაში ქუთაისელებიც ჩაებნენ. აი, სწორედ ამან შეაძლებინა სპორტის მაშინდელ „მეუფეებს", მანამდე „თბილისის

იხ. მე-3 გვ.

გამოხმაურება წერილზე: „ქართული სპორტი — მხოლოდ აღმავლობის გზით!"

# მოდით, ავიდგათ ფეხი!

„ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება" — არ ვიცი, პირველად ვინ და როდის წარმოთქვა შეჭირვებული კაცის ყოფის ამსახველი ეს სიტყვები, მაგრამ მის სისწორეში დღეს ეჭვი არავის ეპარება. ძველის ახლით შეცვლა კი უამრავი პრობლემის გადაჭრას მოითხოვს. ათეული წლობით აწეწილ საქმეს დალაგება სჭირდება, ახალ სიტყვას, მეტადრე საქმედქცეულს — „დალვინება" და დავარგება, არადა დრო არ იცდის, ყოველი წუთი ჩვენი ცხოვრებისა ახალ-ახალი პრობლემების წინაშე გვაყენებს და ის, რაც შესაძლოა გუშინ უეჭველი გვეგონა, დღეს საეჭვოდ წარმოგვიდგება.

როგორც ყველას და ყველაფერს, საქართველოში სპორტსაც ეხება, მიუხედავად იმ მრავალრიცხოვანი წარმატებებისა, რასაც ჩვენი სპორტსმენები აღწევდნენ და აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე. ქართული სპორტის განვითარების გზა კი ერთადერთია — რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს საკავშირო სპორტსახკომისა და სპორტული ფედერაციების დიქტატისაგან. მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომლის ერთგულნიც მოითხოვენ არა კავშირის ერთბაშად გაწყვეტას საკავშირო უწყება-ფედერაციებთან, არამედ ჯერ საფუძვლის განმტკიცებას ჩვენში დანერგილი სპორტის სახეობებისათვის, ამ სახეობების შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანებისკენ მიმავალ გზებზე მყარად ფეხის მოკიდებას, შემდეგ გაწევრიანებას, და ამის შემდეგ საკავშირო ფედერაციებიდან გამოყოფას.

რა თქმა უნდა, ორივე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მით უმეტეს, თუ ის სამშობლოს სიყვარულით, ქართული სპორტის აღზევების სურვილით არის ნასაზრდოები. მათ შორის კი რომელს უნდა მიეკუთვნოს პრიორიტეტი, რომელი პოზიცია უნდა იქცეს პრაქტიკული მოქმედების საფუძვლად, ამას ყველაზე მართებულად თავად სპორტის სპეციალისტები გადაწყვეტენ — ისინი, რომელთაც არც პროფესიონალიზმი აკლიათ, არც სამშობლოს ერთგულებაში ჩამოუვარდებიან ვინმეს.

საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, ამავე საბჭოს ორგანოს" — გაზეთ „ნათლისვეტის" რედაქტორი **ზურაბ ჭანიაშვილი** რამდენიმე წელი მუშაობდა სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მასობრივი სპორტის განყოფილების უფროსად და, შეიძლება ითქვას, ქართულ სპორტში არსებული მტკივნეული პრობლემები მისთვის ნაცნობია. არც ჩვენი სპორტის მომავლისათვის ზრუნვაა ბატონ ზურაბისათვის უცხო. ამას ისიც ადასტურებს, რომ „ნათლისვეტი" ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ გაზეთებიდან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებას და ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებას.

**● ბატონო ზურაბ, „ლელოს" ფურცლებზე მიდის მსჯელობა-გამოხმაურება წერილზე „ქართული სპორტი — მხოლოდ აღმავლობის გზით!" ზოგი არ ეთანხმება, ზოგი არ იზიარებს სპორტული ფედერაციების საკავშირო დაქვემდებარებიდან დაუყოვნებლივ გამოსვლისა და საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის სხვა გზების ძიების წინადადებას, ნაწილი კი იზიარებს. თქვენ რას ფიქრობთ?**

— საკავშირო ჩემპიონატებსა და ტურნირებს ჯერ არაფერი მოუცია ქართველი სპორტსმენებისათვის, არც ახლა აძლევს რამეს და არც მომავალში უნდა გვქონდეს ამ ტენდენციის შეცვლის იმედი.

ვის მიმართ იჩენენ საკავშირო ასპარეზობებზე არაობიექტურობას „ცენტრის მსაჯები", რომელთაც ყველაზე ხშირად ეკისრებათ „პრესტიჟული" შეჯიბრებების გაძღოლა? — რა თქმა უნდა, არარუსი სპორტსმენების მიმართ, ვის უღობავენ გზას რუსი მწვრთნელები — რომლებიც ასევე მრავლად არიან ნაკრებ გუნდებში — საერთაშორისო სარბიელისკენ მიმავალ გზას? — კვლავ არარუს სპორტსმენებს. ვისი წარმატებების მიჩქმალვას ცდილობენ რუსი სპორტული ჟურნალისტები თვისტომი სპორტსმენების განდიდების ხარჯზე? — რა თქმა უნდა, არარუსებისას. ალბათ, კომენტარი ზედმეტია.

**● მაგრამ, თქვენი პოტენციური ოპონენტები ნაცნობ ალიბს მოიშველიებენ ხოლმე, ჩვენ ხომ, ფაქტიურად, არც ერთი დიდი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის წევრები არა ვართ, არც მსოფლიო ასპარეზობაზე გასვლის შესაძლებლობა გვაქვს, ამიტომ, საკუთარ ტაფაში დავიხრუკებითო...**

— ჯერ ერთი, საკავშირო ფედერაციებიდან რესპუბლიკური ფედერაციების გამოყოფა არ ნიშნავს ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობის გაწყვეტას სხვადასხვა რესპუბლიკების, თუნდაც რუსეთის სპორტთან. მათთან თანამშრომლობა საჭიროა, იქნებ აუცილებელი და გარდუვალიც, მაგრამ მხოლოდ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

რაც შეეხება საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებას, ვიდრე ამ ორგანიზაციების წევრებს გავხდებით, თავი უნდა გავიტანოთ, გავმართოთ საერთაშორისო ამხანაგური მატჩები სხვადასხვა სახეობებში, თბილისის დაძმობილებულ ქალაქებთან შეიძლება სპორტული კონტაქტების გაღრმავება; შესაძლებელია შავი ზღვის აუზში შემავალი ქვეყნების სპორტული თამაშების მოწყობის იდეის განხორციელება. საერთაშორისო ორგანიზაციები კი ჯერ არ მიგვიღებენ, თუნდაც იმიტომ, რომ საკავშირო რიგებში ვიმყოფებით და ერთი ფედერაცია არ შეიძლება ერთდროულად ორი ორგანიზაციის წევრი იყოს. ვერ ვიტყვით, რომ მოსკოვს გავექცევით თუ არა, მეორე დღესვე გაგვიღებენ ისინი კარს, მაგრამ პირველი ნაბიჯი მეორეს დააჩქარებს. ბოლოს და ბოლოს, არც ერთი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის თვითმიზანი არ არის, სამუდამოდ, თუნდაც ხანგრძლივად, დაუხშოს კარები საქართველოს ფედერაციებს. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა სპორტსმენებმა მოგებული მედლების რაოდენობით მრავალი დიდი ქვეყანა ჩამოიტოვეს უკან. პოლიტიკურ ბატონობას სპორტზე რა ვუთხრა, თორემ, პოტენციურად, სხვას არ ვიტყვი, ფიჯის კუნძულებზე და ტანზანიაზე მდიდარი სპორტული რესურსები არა გვაქვს? გავიხსენოთ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი და სხვა სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც, რა სიამაყით ამცნობენ ხოლმე მსოფლიოს, თავიანთ საძმოში ახალი წევრის მიღების ამბავს, ფაქტია, ისინი დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება მეტმა „ახალბედამ" მიაკითხოს მათ. ალბათ, ყველა ორგანიზაციას როდი აქვს ფეხბურთის ფედერაციის მსგავსი კონსერვატიული წესდება. ვფიქრობ, ბევრი მათგანის ანალოგიური დოკუმენტი საკმაოდ ლმობიერი უნდა იყოს და იქნებ სწორედ ამით ვისარგებლოთ. არც არის აუცილებელი, ყველა ფედერაციას „ვუმტვრიოთ კარები", იმ სახეობებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომლებშიც მართლაც დიდი მიღწევები გვაქვს. აგრეთვე, უნდა შევქმნათ მძლავრი მატერიალურ-ფინანსური ბაზა ეროვნული სპორტის სახეობების განსავითარებლად, დავაინტერესოთ უცხოელები ჩვენი ეროვნული სპორტით და, მერწმუნეთ, ბევრი „ქართული სახეობა" მალე დაიჩრდილავს დღეს მსოფლიოში განვითარებულ არაერთ სახეობას.

**● საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის დაფუძნებამ დაგვარწმუნა, რომ უმჯობესია, სპორტს თვად ფედერაციებმა უხელმძღვანელონ და არა სპორტულმა აპარატმა. ჩვენში, დღემდე ნომინალურად არსებობდნენ ფედერაციები. ალბათ, დადგა დრო, მართვის სადავეები, ძალაუფლებაც და დაფინანსებაც — ფედერაციების ხელთ იყოს. ხოლო, თუ აუცილებელია სამთავრობო ორგანო, ვთქვათ, სპორტსახკომი, სამინისტრო თუ სხვა რამ, მას მაკოორდინებელი ფუნქციები დაეკისროს და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ჩაერიოს ფედერაციის საქმიანობაში.**

— ეს გარდუვალია, თანადროული და გულით რომ გვსურდეს, მას გვერდს ვერ ავუქცევთ. მაგრამ მარტო დემონტაჟი არ არის გამოსავალი. აუცილებლად უნდა დაიშალოს ყველა ის ორგანიზაცია, რომელნიც არა თუ რაიმეს არგებს სპორტს, არამედ, თავისი არსებობით ვნებას მეტი არაფერი მოაქვს, უნდა შეიქმნას ფედერაციები და სპორტული კლუბები, როგორც ეს ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოშია.

მე ერთ-ერთ ამგვარ ორგანიზაციაში მუშაობის საკმაო სტაჟი და გამოცდილება მაქვს და მისი მუშაობის მაგალითით დავრწმუნდი, რომ ცენტრი აქ, საქართველოში, თავის საქმეს უფრო აკეთებს, ვიდრე ჩვენსას.

„დინამოს" აქვს სპორტული ნაწარმის ორი დიდი ფაბრიკა — უქსოვადი მასალების ექსპერიმენტული და ტრიკოტაჟის სპორტული ნაწარმის ფაბრიკები, მათი წლიური მოგება 12 მილიონი მანეთია და ამ თანხის მხოლოდ 7,5 პროცენტს გვიბრუნებს „უკან" ცენტრი. [illegible] სჭირდება [illegible] ნაწარმოები?

ამ ფაბრიკების [illegible] მოწადინენი [illegible], თუ საკავშირო დაქვემდებარებას აღარ დავემორჩილებით, მაშინ ნედლეულსაც არ მოგვცემენო. დღეს, ეს აზრი ლოგიკურია, მაგრამ ხვალ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთანავე, ვფიქრობ, აქეთ შემოგვეხვეწებიან, გაგვისაღეთ ჩვენი არასრულფასოვანი ნედლეულიო. მოკლედ...

საერთოდ გაუმართლებელია სპორტსაზოგადოებათა არსებობა. ისინი თავის დროზე იმიტომ მოიგონეს, რომ სპორტსმენისათვის დაეკარგათ ეროვნულობა, საკავშირო ტურნირებზე სპორტსმენები გამოჰყავდათ სპორტსაზოგადოებების და არა საკუთარი სამშობლოს სახელით. გაიხსენეთ „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის" ახლა „დინამოს", არმიის სპორტული კლუბის, „შრომითი რეზერვების" წევრები...

მიდი და არკვიე, ეს „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი ქართველია, უკრაინელი თუ ყირგიზი. მთავარი ისაა, რომ რომელიღაც სპორტსაზოგადოების ღირსებას იცავდეს. ეს მეთოდი რომ დაეხვეწათ და საბოლოოდ დაემკვიდრებინათ, არაფერს არ აკლებდნენ იმ სპორტსმენებს, რომლებიც სპორტსაზოგადოებათა სახელით ასპარეზობდნენ. მაგალითად, თუ საკავშირო შეჯიბრებაზე სპორტსმენის კვება დღეში 4 მანეთი ჯდებოდა, სპორტსაზოგადოებების წევრზე ორჯერ მეტი თანხა იყო გამოყოფილი. ყველა სხვა პრივილეგიაც შესაბამისად იყო შეფარდებული, რა თქმა უნდა, სპორტსაზოგადოებების სახელით მოასპარეზეთა სასარგებლოდ.

მოკლედ, პრობლემები უამრავი აქვს ქართულ სპორტს, მაგრამ, რაც არ უნდა ვეცადოთ მათი გადაჭრა, არაფერი გამოგვივა, თუ საკავშირო სპორტსახკომს, სპორტულ ფედერაციებს გონივრულად არ ვუგანეთ. ბოლოს და ბოლოს, ბავშვმა თუ ერთხელ არ გაიარა უმეთვალყუროდ, ხელისშეუშველებლად, ის სიარულს ვერასოდეს ისწავლის. მაშ, მოდით, ჩვენც ავიდგათ ფეხი!

**ესაუბრა ლევან ჯავახიშვილი**

# ბზა, გზა გვიჩვენეთ!

**თქვენს** გაზეთში („ლელო", 11 ივლისი) ერთმა ავტორმა ქართველ სპორტსმენებს მოუწოდა — გამოსულიყვნენ და საჯაროდ განეცხადებინათ, რომ უარს ამბობდნენ იმპერიული სპორტის სამსახურზე. მე კარგა ხანს ვუცადე, ვინ იქნებოდა ის პირველი გმირი, მაგრამ რატომღაც, არ გამოჩენილა. ლელოელებო, განა თქვენ ზოგიერთებივით, თუნდაც იმ ავტორივით, გჯეროდათ, რომ გამოჩნდებოდა? არა ეს არ მოხდებოდა იმიტომ, რომ ახალგაზრდას ვუკარნებთ — ადექი და საჯაროდ განაცხადე, უარს ვამბობ დასტატებაზე, ხელს ვიღებ ჩემპიონობასა და რეკორდსმენობაზე, ხელფასსა თუ სტიპენდიაზე, უცხოელ სპორტსმენებთან ურთიერთობაზე და, საერთოდ, იმ სიკეთეზე და სიყვარულზე, რასაც სპორტში უმძიმესი შრომით, ოფლის ღვრით იმსახურებს ადამიანი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

მე მივმართავ იმ წერილის ავტორს ხ. ფილიას — აჯობებდა მოგეწოდებინათ, ვინ არის ისეთი გონიერი კაცი, რომელიც გამოვიდოდეს და საჯაროდ განაცხადებდეს: მე მივაგენი იმ გზას, რომელიც ქართულ სპორტს ჩამოაშორებს იმპერიის სამსახურს, სანაცვლოდ კი ოსტატობისა და ტრადიციების შენარჩუნების, უცხოეთთან ურთიერთობის გარანტირებულ, რეალურ, ყოველმხრივ დასაბუთებულ გზას გთავაზობთ.

აი, ეს მწამს!

**რ. ხირბილაძე**

ქუთაისი.

# ჩემპიონის მონოლოგი

(დასასრული)

**● ჯიბეში ფულის თვლა გიყვარს. უბრალოდ, საინტერესოა, შეიცვალა თუ არა რაიმე ჩვენთან ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ოლიმპიადის შემდეგ თავად გამიგონია, ქუჩაში: გობეჯიშვილი მიდის, ციდმალი ფულის პატრონიო. საიდან იღებს ხალხი ამ ინფორმაციას: მსოფლიო ჩემპიონატის დროს გაზეთები წერდნენ: ჩემპიონს 12 000 დოლარი ერგებაო. სინამდვილეში მე 1 200 დოლარი გადმომცა დაჯილდოებისას ჩვენმა წარმომადგენელმა. სად გაქრა ის ერთი ნული, არ ვიცი. რაც შეეხება ყოველთვიურ ანაზღაურებას, ჭიდაობის ფედერაცია მიხდის 400 მანეთს.

**● მუშნი ზარანდიასი არ იყოს, ცდილობ, შენ უყო ხელფასს, არა?**

— მე ძალიან ხშირად მშიერიც ვყოფილვარ, ვიდრე აღიარება მოვიდოდა. რაიონიდან წამოსულს მშობლები რით დამეხმარებოდნენ; თავად კი ზოგჯერ პურის ფულიც არ მქონია. მაგრამ, რატომღაც მტკიცედ მჯერა — თუ გაჭირვების ფასი არ იცი, წარმატებას ვერ მიაღწევ. შენგან დიდი სპორტსმენი ვერ დადგება. ასე რომ, ხშირად იძულებული ვყოფილვარ, „ვყოფნოდი" ხელფასს.

**● ოცდაოთხი წლის ახალგაზრდისთვის ურიგო არ უნდა იყოს ის მიღწევები, რაც თქვენ მოგიპოვებიათ. უკმარისობის გრძნობა თუ გაქვთ?**

— ხშირად ვამბობ კიდეც: ყველაფერი რომ რიგზე ყოფილიყო, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაინც უნდა ვყოფილიყავი. ყოველ სპორტსმენს აქვს ჩავარდნები, მეც მათ შორის და პრესა და ტელევიზია თავის დროზე აღნიშნავდა კიდეც ჩემს ურიგო საქციელს. თუმცა, ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი.

**● როცა გიყურებთ, ფილმი მახსენდება ივანე კოტორაშვილზე — ვეებერთელა მუშტში მინდვრის ყვავილებს რომ მალავს ზურგსუკან. შენ თუ მიგირთმევია ვინმესთვის ყვავილები?**

— მეუღლისათვის ხშირად მიმირთმევია, მაგრამ ზურგსუკან არასდროს დამიმალავს.

**● თუ ეხმარები ოჯახს საქმიანობაში?**

— საერთოდ ამბობენ, რაჭველებს საჭმლის კეთება ემარჯვებათო. სამწუხაროდ, მე მხოლოდ ჭიდაობა გამომდის კარგად.

**● ახალ წელს სად და როგორ შეხვდები?**

— უკვე მეოთხე წელიწადია, ზედიზედ ახალ წელს ამერიკაში ვხვდები. ოჯახიც ძალიან განიცდის და მეც. სადაც უნდა იყო, შენს თბილ კერას არაფერი ჯობია. 23 დეკემბერს გავემგზავრებით ამხანაგურ ტურნირზე მსოფლიოსა და ამერიკის ნაკრებ გუნდებს შორის. საკმაოდ პრესტიჟული შეჯიბრება იქნება. საქართველოდან მე და ლერი ხაბელოვი ვიქნებით. მიხარია, რომ ამ ტურნირზე კიდევ ერთხელ შევხვდები ბაუმგარტნერს.

**● როგორ ფიქრობ, ვინ გაიმარჯვებს?**

— აქ გითხარით, წაგებაზე არასდროს მიფიქრია და ვნახოთ.

**● რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში არაერთგზის მოხვედრილხარ. რა გრძნობა გაქვს, როცა მათ შორის გასახელებენ?**

— სიამაყის და კიდევ დაფასების... ყველაზე დიდი ჯილდო ხომ ხალხის სიყვარულია და ჩემი ერის მიერ გამომჟღავნებული ეს სიყვარული, მომავალი წარმატებებისთვის მაგულიანებს.

**ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი**

# მძაფრი „დებიუტი"

**დედაქალაქის** მოჭადრაკე ვაჟთა 62-ე ჩემპიონატი რომ მეტად საინტერესო და მძაფრ ბრძოლებში ჩაივლის, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ მეორე ტურში ოთხი პარტია გადაიდო (გოგაძე — ლაზარიშვილი, პ. ვაშაკიძე — პოპოვი, ნეჩაევი — ჩიქოვანი, თვაური — ვ. ვაშაკიძე), შედეგიანი კი მხოლოდ ერთი — თემურ გათიკოევისა და ბესიკ სხილაძის შეხვედრა გამოდგა, სადაც მეტოქეებმა სიცილიურ დაცვას მიმართეს. უკვე დებიუტშივე თეთრები უპირატესობას დაეუფლნენ და შეტევა წამოიწყეს. სხილაძე თავგამოდებით იცავდა თავს, მაგრამ მეტოქის მრავალმხრივი მუქარების მოგერიება ვერ შეძლო.

დაზავდნენ ღვამიჩავა-ტიკურიშვილი, პირაევი-პაქსაშვილი და სიჭინავა-მიქაელიანი.

მესამე ტურში საინტერესო გამოდგა ალექსი ლაზარიშვილისა და პაატა ვაშაკიძის შეხვედრა. ინგლისურ დასაწყისში თეთრებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღეს, მაგრამ მიტელშპილში პ. ვაშაკიძემ აქტიური თამაშით შეძლო პოზიციის გათანაბრება, საბოლოოდ კი მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მიქაელიანი — პირაევი 1:0, სხილაძე — ნეჩაევი 1:0, ტიკურიშვილი — სიჭინავა 0,5:0,5, ვ. ვაშაკიძე — გათიკოევი 0,5:0,5, პოპოვი — ღვამიჩავა 0,5:0,5. გადაიდო პაქსაშვილ-თვაურისა და ჩიქოვან-გოგაძის პარტიები.

3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა ემილ მიქაელიანი. შემდეგ მოდიან: ალექსი ლაზარიშვილი, პაატა ვაშაკიძე, თემურ გათიკოევი და იანის პოპოვი — 1,5-1,5 (1-1).

**სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ:**

**კრივში** — ბესლან არშბას, ირაკლი ტროჩკას (ორივე — სოხუმი, „მევარდენი"), ჯონი კაკაბაძეს (ქუთაისი, „მევარდენი"), კახაბერ კაჭარავას (ხობი, „შ. არდენი");

**ფიგურულ ციგურაობაში** — გოზო ბლიაძეს (თბილისი, „მართვე").

# ფინალი: საქმეც და პრინციპულიც

(დასასრული)

ჩემპიონატად“ წოდებული შეჯიბრება ახლებურად — „საქართველოს პირველობად“ მოენათლათ.

და მაინც, მოდით და საკადრისი პატივი მივაგოთ საქართველოს არაოფიციალურ, „უგვირგვინო“ ჩემპიონებს და ეროვნული პირველობების პრიზიორთა ცხრილში, ქართულ პრესაში პირველად რომ ქვეყნდება, თავ-თავიანთი ადგილი მივუჩინოთ მათ. მით უფრო, რომ ისინი თავის დროზე ისეთ შეჯიბრებებში იმარჯვებდნენ, ყველა ქართული გუნდი რომ მონაწილეობდა (რა მათი ბრალია, თუ ეს გუნდები — უკლებლივ ყველა — თბილისანი იყვნენ).

## საქართველოს ჩემპიონატების პრიზიორები

ქვემოთ მოყვანილია თითოეული ჩემპიონატის ოფიციალური რიგითი ნომერი, მისი გამართვის დრო, მონაწილე გუნდების რაოდენობა და პრიზიორთა ვინაობა (თბილისის გუნდებს ხადაურობა არ უწერიათ).

— 1962 (გაზ); 3; 1. ხპი; 2. „ისანი“; 3. ხხი.
— 1962 (შემ); 6; 1. ხპი; 2. „ისანი“; 3. ხხი.
— 1963; 4; 1. ხპი; თუ რა რიგით დაიკავეს მომდევნო ადგილები ხხი-მ, „განთიადმა“ და თხუ-მ, ვერ დავადგინეთ.
— 1964; 5; ფინალური შეხვედრა „დინამო“ — „განთიადი“ აყალმაყალის გამო შეწყდა; 3. თხუ.
— 1965; —; ცნობას ვერ მივაკვლიეთ.
— 1966; 6; 1. „დინამო“; 2. „ლოკომოტივი“; 3.?
1; 1967; 6; 1. „დინამო“; 2. „ლოკომოტივი“; 3. ხპი.
2; 1968; 6; 1. „ლოკომოტივი“; 2. „დინამო“; 3. ხპი.
3; 1969; 6; 1. „დინამო“ (ქუთ); 2. თხუ; 3. ხპი.
4; 1970; 7; 1. „დინამო“; 2. „ლოკომოტივი“; 3.? („სპარტაკი“ ან ხპი).
5; 1971; 6; 1. „დინამო“; 2. „ლოკომოტივი“; 3. „ლოკომოტივი“(ქუთ).
6; 1972; 8; 1. „ლოკომოტივი“; 2. „დინამო“; 3. „ლოკომოტივი“ (ქუთ).
7; 1973; 6; 1. „დინამო“; 2. „ლოკომოტივი“; 3. არ გათამაშებულა (მაჩვენებლების შედარებით — „ლოკომოტივი“ (ქუთ).
8; 1974; 6; 1. „განთიადი“; 2. „ლოკომოტივი“; 3. „განთიადი“ (ქუთ).
9; 1975; 6; 1. „ივერია“; 2. „ლოკომოტივი“; 3. „ხახლმშენი“ (ქუთ).
10; 1976; 6; 1. „ივერია“; 2. „ლოკომოტივი“; 3. „სპარტაკი“ და „ხახლმშენი“ (ქუთ).
11; 1977; 6; 1. „ლოკომოტივი“; 2. „ელვა“, „ხახლმშენი“ (ქუთ) და „სპარტაკი“ (ერთი თამაში არ გამართულა).
12; 1978; 6; 1. „ხახლმშენი“ (ქუთ); 2. „სპარტაკი“; 3. ხპი.
— 1979; —არ გამართულა.
13; 1980; 4; 1. თხუ; 2. ხპი (ქუთ); 3. „ხამედიცინო“.
14; 1981; 8; 1. „ხამედიცინო“; 2. თხუ; 3.? (ვერ დავადგინეთ).
15; 1982; 10; 1. „ხახლმშენი“ (ქუთ); 2. თხუ; 3. ხხი „შევარდენი“.
16; 1983/84; 8; 1. „ხახლმშენი“ (ქუთ); 2. ხხი „შევარდენი“ თუ „ლოკომოტივი“?
17; 1984/85; 16; არ დამთავრებულა; შეწყვეტის დროისთვის: 1. „ხახლმშენი“ (ქუთ); 2. ხხი „შევარდენი“; 3. „ლოკომოტივი“.
18; 1985; 9; 1. ახკ; 2. „ხამედიცინო“; 3. ხპი.
19; 1986; 8; 1. „ქუთაისი-2“; 2. „განათლება“; 3. „ხამედიცინო“.
20; 1987; 7; 1. „ხამედიცინო“; 2. „ქიათურა“; 3. „ქუთაისი-2“ და ხხი „შევარდენი“.
21; 1988; 8; 1. ახკ; 2. „აიხი“ (ქუთ); 3. „ქიათურა“.
22; 1989; 6; 1. „აიხი“ (ქუთ); 2. „ზოოვეტი“; 3. ხხი „შევარდენი“.
23; 1990; 12; 1.? 2.? 3. „მიმინო“.

როგორც ხედავთ, ცხრილში უამრავი „თეთრი ლაქა“ და სარქოფო ადგილია. ეს, ერთი მხრივ, ჩვენთვის დამახასიათებელი გულარხეინობით, ისტორიის მოუფრთხილებლობით, არქივთა „განიავებითა“ თუ მსგავს მიზეზთა გამო შეიძლება ავხსნათ. სხვა მიზეზი კიდევ ისაა, რომ შეჯიბრებები ხშირად მთლად კარგად ორგანიზებული ვერ ყოფილა: დანიშნული თამაშები ცდებოდა, დაწყებული ტურნირები ვერ მთავრდებოდა, ამტყდარი დავა-კამათი დროულად ვერ ირჩეოდა და შეჯიბრებების გაშუქებით მაინცდამაინც არც პრესა იწუხებდა თავს. ამას კიდევ ის დაერთო, რომ 80-იან წლებში, როცა უძლიერესი ქართული გუნდები სსრკ ჩემპიონატების მორევში თავით გადაეშვნენ, საქართველოს ჩემპიონატის არსებობა ლამისაა ყველას გადაგვავიწყდა, მათ მოვალეობის მოხდის მიზნით-ღა თუ ვმართავდით. ერთი სიტყვით, ტურნირი არავის სჭირდებოდა და, რა გასაკვირია, თუ ცნობები მის შესახებ მწირად შემოგვრჩა.

დავუბრუნდეთ 60-იანი წლების დასაწყისს. მას შემდეგ, რაც 1964 წელს ბორის პაიჭაძის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა „რაგბის ფედერაცია“, სპორტსაზოგადოება „დინამომ“ პოლიტექნიკოსთა გუნდი შეიკედლა. იმავე ხანებში ძლიერ მოთამაშეთა სხვა პლეადამ თავი ჯერ „განთიადში“ მოიყარა, შემდეგ — „ლოკომოტივში“, და „დინამო“ — „ლოკომოტივის“ ბრძოლაც — ერთდროულად საქმეც და სამკვდრო-სასიცოცხლოც — მთელი ძალით გაჩაღდა. ჩვენს საშინაო სარბიელზე ამ ორი „ბუმბერაზი“ გუნდის მეტოქეობამ ბარე ათ სეზონს გასტანა. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ 70-იანი წლების ბოლოს „დინამოს“ მემკვიდრე „ელვა“ საბოლოოდ დაჩაჩანაკდებოდა, სსრკ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს კი ჩვენი სპორტის ხელმძღვანელნი საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილეობას აუკრძალავდნენ და ამით „რესპუბლიკურ ჩემპიონატს“ საბოლოოდ დააკნინებდნენ.

ასეა თუ ისე, აქ „დინამო“-„ლოკომოტივის“ შეხვედრების გამოწვლილვით გახსენება თუ არა, მათი სტატისტიკის მოტანა კი ნამდვილად ღირს. აი, ისიც:

**„დინამო“ — „ლოკომოტივი“**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1967 | | 6:0 | 1971 | 12:3 | | 1974 | 22:4 | |
| 1968 | 3:3 | 6:8 | 1972 | 9:13 | | 1975 | 11:3 | |
| 1970 | 0:0 | 9:6 | 1973 | 3:3, | 14:4 | 1976 | 3:0 | |

როგორც ხედავთ, ათი სეზონის მანძილზე „დინამო“ შვიდჯერ გამხდარა ჩემპიონი „ლოკომოტივი“ — ორჯერ („დინამოს“ ძლევის წყალობით) და კიდევ ერთხელ (ისე, რომ „ელვასთან“ მოგება რიგითი გამოდგარა). ასეა თუ ისე, აწ უკვე არარსებული „დინამოს“ შედეგი დღესაც ქართული რაგბის თვალშეუდგამი რეკორდია!

სპორტის „მეუფეთა“ მეტისმეტად „ბრძნული“ გადაწყვეტილების შემდეგ ჩვენს საშინაო ასპარეზობებს ლაზათი მოაკლდა და ოდენ სტუდენტთა გამოსაცდელ პოლიგონად, მათ შორის რჩეულთა „დიდ გუნდებში“ გადასაბირებელ ბაზრობად იქცა. საქმეს ვერც იმ ენთუზიასტებმა უშველეს, 1983-85 წლებში სსრკ ჩემპიონატის მონაწილენი შინაურ ჩემპიონატში ხელახლა რომ ჩაებნენ და შეჯიბრების „შემოდგომა-გაზაფხულის“ განრიგით მოწყობა სცადეს. ყველაფერი ხომ იმთავითვე მარცხისთვის იყო განწირული, რაკიღა მაშინ არც საერთო პოლიტიკური ვითარება, არც მოთამაშეთა ლიანგის თვითშეგნება და, მით უმეტეს, არც სსრკ „წმიდათაწმიდა“ ჩემპიონატის „ულმობელი“ კალენდარი ასეთი შეჯიბრების გამართვის საშუალებას არ იძლეოდა.

და მაინც, ეს ძველი იდეა დავიწყებას არ მიეცა და ახლახან აღორძინდა! შევძლებთ კი მის ხორცშესხმას? ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს, ახლა კი, მოდით, წლევანდელი, XXIII ჩემპიონატის ფინალისტები ახლოს გავიცნოთ.

მაშ ასე, პირველი ფავორიტი

### ქუთაისის „აია“

სსრკ არაერთგზის ჩემპიონი, პრიზიორი და თასის მფლობელი. გარდა ამისა, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი.

ქუთაისის გუნდი მაშინ იკრებდა ძალებს, „ელმავლის“ წინამორბედი „ლოკომოტივი“ ორივე — საგარეო თუ საშინაო — სარბიელზე რომ ბრწყინავდა. „აიას“ მზეც მას შემდეგ ამოვიდა, რაც „ლოკომოტივისა“ ჩაესვენა, ანუ მაშინ, რაც რკინიგზელთა იმედისმომცემი გარემარბი ოლეგ ლიპარტელიანი თავისი „ამალითურთ“ 1980 წელს ქუთაისს გადაბარგდა და იქ შუამარბად დაიწყო თამაში. ერთი სიტყვით, ქუთათურ „ვარსკვლავებს“: ვ. შავნგირაძეს, კავთელაშვილს, ჩოგოვაძეს, ობოლაძეს, გოგავას თბილისიდან ნელ-ნელა შეემატნენ თავად ო. ლიპარტელიანი, შავგულიძე, გიორგაძე, ნაჭყებია, გრიგალავა, ცისკარიშვილი, მ. ხარშილაძე და სხვანი. მერე და მერე თბილისიდან შინ დაბრუნდა ლილუაშვილი, თვით რიონის პირად კი „უკეთესნი შევარდენნი“ (ეროვნული ნაკრების წევრები) დაიზარდნენ. რად ღირს თუნდაც ის, რომ ლოსაბერიძის, ძმებ ძაგნიძეების, ტურძელაძის, ბ. შავნგირაძის, ნემსიწვერიძის, კაკაჩეიშვილის, ტყაბლაძის ხსენებაც კი „შიშის ზარსა სცემს“... თბილისელ რაგბის გულშემატკივრებს.

### „აიას“ მეტოქე — თბილისის „ელმავალი“

მართალია, 1987 წლიდან გუნდმა თავი დააღწია სსრკ ჩემპიონატის აუტსაიდერთა შორის ყოფნას, დღესდღეობით ჰყავს მარჯანიშვილი, ხვედელიძე, თავაძე, ჩავლეიშვილი, ჯაფარაშვილი, ნარიმანიძე, ძმები გიუნაშვილები, ბაკურაძე, ხუადე და ა. შ., მაგრამ რაგბიში, ასე თუ ისე, ჩახედული ხალხი დაგვეთანხმება, რომ ეს უდავოდ ნიჭიერი მოთამაშეები მაინც ვერ მოვლენ ძველ ლოკომოტიველებთან, თუნდაც ზ. ხარშილაძესთან, კილასონიასთან, ზენდიაშვილთან, ანთაძესთან, ფეტვიაშვილთან, მიქაბერიძესთან და სხვებთან.

თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „ელმავალი“ წინასწარვე წასაგებად იყოს განწირული. მოედანზე ხომ ყველაფერი ხდება. გუნდიც ისე შეიძლება შეიკრას, დაირაზმოს, თავი გადადოს, რომ ობიექტურად თავისზე ძლიერ მეტოქეს აჯობოს. მაგრამ ამისთვის უმაგალითო თავდადებასთან ერთად, სწორი ტაქტიკის არჩევაცაა საჭირო.

რა შეიძლება ურჩიოს კაცმა „ელმავალს“? მორკინალთა აქტიურობა? — მაგრამ „აიას“ შერკინება ხომ უდავოდ უფრო ღონიერი და გაწაფულია. ფეხით თამაში? — მართალია, ეს „ელმავალს“ ეხერხება, მაგრამ, ალბათ, არც ქუთაისელები დარჩებიან ვალში.. ბურთის შერკინებისგან გარიდება და ხელით გათამაშება? — მაგრამ „აიამ“ ბოლო „შვიდკაცაზე“ დაამტკიცა, რომ გაშლილად ბურთაობაში მას ბადალი არა ჰყავს. და მაინც, „ელმავალს“ ალბათ ეს უკანასკნელი ხერხი თუ დააყრის ხეირს —იმის იმედით, რომ თბილისელი მორკინალები შეტევის შეფერხების შემდეგ ტანსრულსა და „ასაკოვან“ მეტოქეებს ბურთთან მისვლას დაასწრებენ და იერიშის მომდევნო ფაზებს მომგებიანი პოზიციებიდან დაიწყებენ (სხვათა შორის, „ელმავალ“ — „აიას“ ბოლო შეხვედრაში თბილისელებმა სწორედ ასეთი ტაქტიკის წყალობით გაიმარჯვეს).

უეჭველია, რომ ამგვარი ტაქტიკის გასაბათილებლად „საქმიანი არგუმენტები“ ქუთათურებსაც მრავლად ექნებათ. მით უკეთესი! მაშინ უფრო მიმზიდველსა და უშელავათო თამაშს ვიხილავთ!

გადავხედოთ მეტოქეების შეხვედრათა სტატისტიკასაც. მაშ ასე:

**„ელმავალი“ — „აია“**

**საქართველოს ჩემპიონატებში**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1967 | 28:6 | 1972 | 30:23 | 1975 | 26:12 | | |
| 1968 | 48:8 | 1973 | 26:30 | 1976 | 4:3 | | |
| 1970 | 29:3 | 1974 | 28:8 | 1977 | 11:3 | | |
| 1971 | 34:3 | | | 1990 | 6:0, | 33:6 | |



გია ახალაძის ფოტო.

იმდროინდელი ვითარებიდან გამომდინარე, მეტწილად თბილისელები იმარჯვებდნენ — თორმეტიდან თორმეტი(!) თამაში მოიგეს საერთო ანგარიშით 303:95.

ახლა საკავშირო შეჯიბრებებსაც — სსრკ ჩემპიონატს, თასის გათამაშებას, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ჩემპიონატს გადავხედოთ. აქ სრულიად საპირისპირო სურათს ვაწყდებით:

**„ელმავალი — „აია“**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1971 | | | 23:9 | 1985 | | | | 21:9 |
| 1979 | | | 12:3 | 1986 | | | | 0:0 |
| 1980 | | 14:9, | 9:10 | 1987 | | | 0:19, | 18:39 |
| 1981 | 4:4, | 4:0, | 36:21 | 1988 | 9:15, | 17:31, | 10:20, | 17:9 |
| 1982 | | 3:3, | 6:13 | 1989 | 6:6, | 19:19, | 8:13, | 14:19 |
| 1983 | 3:6, | 0:7, | 0:3 | 1990 | | 0:9, | 7:15, | 0:15 |
| 1984 | | | 6:9 | | | | | |

ე. ი. 28 თამაშიდან „ელმავალმა“ მოიგო 7, „აიამ“ — 16, 5 კი ფრედ დამთავრდა. ბურთების შეფარდებაც „აიას“ სასარგებლოდაა — 335:266.

ასეა თუ ისე, დღევანდლამდე სულ გამართული 40 თამაშიდან თბილისელებს მოგებული აქვთ 19, ქუთაისელებს — 16. ბურთების სხვაობით წინ „ელმავალია“ — 569:430.

# ფეხბურთის „საქმიანი“ სამყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის მოყვარულები შეამჩნევდნენ, რომ საგრძნობლად იმატა საფეხბურთო კლუბებით ბიზნესმენების დაინტერესებამ. ბევრი საქმოსანი დიდი ხანია ამა თუ იმ კლუბს პატრონობს. წლეულს კლუბებმა ფეხბურთელთა შესყიდვაში სარეკორდო რაოდენობის თანხა — 270 მილიარდი ლირა (247 მილიონი დოლარი) დახარჯეს.

წელს „ფიატის“ მაგნატმა და „იუვენტუსის“ პატრონმა ჯოვანი ანიელიმ ბევრი რამ შეცვალა გუნდში. მან ვიცე-პრეზიდენტად მოიწვია ლუკა დე მონტოძემულო — „იტალია-90“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. გუნდს შემატნენ „ოქროს ბიჭად“ წოდებული რობერტო ბაჯო და მსოფლიო ჩემპიონატის გმირი სალვატორე სკილაჩი, მეტსახელად „ტოტო“. ანიელიმ წელს ყოველგვარ გარიგებებში 48 მილიონი დოლარი დახარჯა. თუმცა ამანაც ვერ უშველა გუნდს. სეზონის დასაწყისში სუპერთასისათვის ბრძოლაში იგი დამარცხდა „ნაპოლისთან“ დიდი ანგარიშით — 1:5

ფრანგმა ბიზნესმენმა ბერნარ ტაპიმ თავისი კარიერა გაკოტრებული კომპანიების შესყიდვაზე ააგო. დღეს მას ეკუთვნის დიეტური საკვების ცნობილი ფირმა, ჩოგბურთის ჩოგნების ფირმა „დონნეი“. სულ ახლახან მან შეიძინა „ადიდასი“, რომელმაც გასულ წელს დაკარგა 87 მილიონი დოლარი. ტაპის იმედი აქვს, რომ „ადიდასსაც“ გამოიყვანს ფინანსური ჩიხიდან. „ადიდასი“ ის საქმეა, რომელსაც მე დიდი ხანია შორიდან შევნატროდი“ — განაცხადა ტაპიმ ერთ-ერთ ინტერვიუში.

ტაპიმ წელს თავის კლუბ „მარსელში“ მიიწვია ფრანც ბეკენბაუერი, ფრიად ხელსაყრელი კონტრაქტიც შესთავაზა და ამიტომაცაა რომ „კაიზერი ფრანცი“ დღეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ მწვრთნელად ითვლება.

ასევე საინტერესო პიროვნებაა სილვიო ბერლუსკონი. მისმა „მილანმა“ დიდ წარმატებას მიაღწია. სწორედ ბერლუსკონის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ აღმოჩნდნენ „მილანში“ რაიკაარდი, გულიტი და ვან ბასტენი. გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ „მილანის“ გულშემატკივრებმა „სან-სიროს“ სტადიონზე უზარმაზარი ტრანსპარანტი გამოკრეს: „სილვიო, მილანს უყვარხარ!“ უნდა აღინიშნოს, რომ „მილანმა“ სეზონის დასაწყისშივე გაყიდა სარეკორდო რაოდენობის აბონემენტი — 70 000, რამაც კლუბის ხაზინა 32 მილიარდი ლირით შეავსო. სავარაუდოა, რომ „სან-სიროს“ 75-ათასიანი სტადიონი მთელი სეზონის განმავლობაში სავსე იქნება.

საფეხბურთო კლუბი „პარმა“ წელს გადმოვიდა იტალიის ჩემპიონატის „ა“ ჯგუფში. კლუბის ბოსია იტალიაში უდიდესი რძის პროდუქტების კომპანია „პარლამენტის“ პრეზიდენტი კალისტო-ტანცი. მან შეიძინა ბრაზილიელი მეკარე კლაუდიო ტაფარელი (იგი პირველი უცხოელი მეკარეა იტალიის ლიგაში —ლ. ა.), ბელგიელი გრუნი და შვედი ტომას ბროლინი: „პარმამ“ კიდევაც შემოგვთავაზა პირველი სიურპრიზი — III ტურში მან დაამარცხა „ნაპოლი“ — 1:0.

„ფიორენტინა“ წელს შეისყიდა მულტიმილიონერმა, ხელოვნების მოყვარულთათვის კარგად ცნობილმა მარიო ჩეკი გორიმ. მას გადაწყვეტილი აქვს ძველი დიდება დაუბრუნოს გუნდს. „ფიორენტინას“ რიგები მარიუს ლეკეტუშით და სტეფანო ბორგონოვოთი შეივსო.

წელს შედგა რამდენიმე ფეხბურთელის დებიუტი იტალიის კლუბებში. ასე მაგალითად, პირველი მატჩები ითამაშეს იტალიის ჩემპიონატში ლაიოშ დეტარიმ („ბოლონია“); ტომაშ სკუხრავიმ („გენუა“); ალექსი მიხაილიჩენკომ („სამპდორია“). მათ გარდა, ახალი სეზონიდან „ტორინოში“ თამაშობს ესპანელი მარტინ ვასკესი, „რომაში“ — ბრაზილიელი ალდაირი, „ლაციოში“ — გერმანელი რიდლე, „ლეჩეში“ — ალეინიკოვი, „კალიარიში“ კი ურუგვაელთა ტრიო — ენცო ფრანჩესკოლი, ხოსე ერერა და დანიელ ფონსეკა.

საყურადღებოა, რომ იტალიის ჩემპიონატის „ა“ ჯგუფში არც ერთი ინგლისელი არ თამაშობს.

აი, ასეთია მდგომარეობა დღეს ევროპის ცნობილ კლუბებში. როგორც ხედავთ, იქაური საქმოსნები არა მარტო საკუთარ ბიზნესს ართმევენ თავს, არამედ წარმატებით უძღვებიან საფეხბურთო კლუბების საქმეებსაც.

ლევან ახვლედიანი

### მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# ტიპიური „კარპოვისეზური სტილით“

მსოფლიო პირველობის მატჩებისათვის დამახასიათებელია სადებიუტო რეპერტუარის სიმწირე. როცა კარპოვი თეთრი ფიგურებით თამაშს ლაზიერისწინა პაიკით იწყებს, მსოფლიო ჩემპიონს ჯერჯერობით ორი პასუხი აქვს მომზადებული — მიმართავს ძველინდურ ან გრიუნფელდის დაცვას. მატჩის ლიონის ნახევარში კასპაროვი გრიუნფელდის დაცვას ამჯობინებდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს დაცვა კასპაროვს ჯერჯერობით კარგ სამსახურს უწევს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს დებიუტის შემდეგ მიღებული პოზიციები. აი, მეჩვიდმეტე პარტიაშიც კარპოვი დასაწყისში ვერაფერს გახდა. უფრო მეტიც, მას ჯერაც არ დაესრულებინა ფიგურების ხელსაყრელი განლაგება, როცა კასპაროვი მხედრით შეიჭრა მეტოქის „ბანაკში“, შემდეგ კი მხედარი პაიკით გაამაგრა. ამ მომენტისთვის მიმომხილველები ერთგვარ უპირატესობას შავებს ანიჭებდნენ.

პარტიის მეორე ნახევარში კასპაროვის თამაშს ნამდვილად პასიურობის დაღი აზის. ექსჩემპიონი მეტად ენერგიულად იბრძოდა, მაშინ, როდესაც კასპაროვი ზედიზედ უთმობდა მას სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან უჯრებს. ჯერ იყო და, კარპოვი ღია ხაზს დაეუფლა და მეტოქის ბანაკში ეტლი გადაისროლა, შემდეგ კი პაიკით ცენტრისკენ „გაიჭრა“. კასპაროვმა სავსებით უიმედო პოზიცია მიიღო. თეთრების გამსვლელმა პაიკმა მეშვიდე ჰორიზონტალს მიაღწია. ჩემპიონს ერთი იმედი მაინც რჩებოდა: კარპოვი ძლიერ ცაიტნოტში იყო და შეიძლებოდა მოფიქრებისათვის განკუთვნილი დროისათვის გადაეცილებინა. როცა ეს იმედი არ გამართლდა და კარპოვმა 40 სვლა გააკეთა, კასპაროვი დაუყოვნებლად დანებდა.

„მოკრძალებული“ დებიუტის მიუხედავად, მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ მეჩვიდმეტე პარტია ერთ-ერთი საუკეთესოა და იგი ტიპიური „კარპოვისეზური სტილით“ არის გათამაშებული.

ამრიგად, ანგარიში გათანაბრდა — 8,5:8,5.

გუშინ მატჩის მონაწილენი ისვენებდნენ, დღეისათვის დანიშნულია მორიგი, მეთვრამეტე პარტია, რომელშიც თეთრებით ჩემპიონი ითამაშებს.

## [illegible]



საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას, მის მრავალათასიან არმიას გამოაკლდა წარსულში ცნობილი სპორტსმენი, მწვრთნელი და პედაგოგი, საქართველოში საწყლოსნო სპორტის განვითარების ერთ-ერთი მოჰირნახულე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ს. ილინი.

ჭაბუკობაში მან ცურვასა და წყალბურთში მრავალგზის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული, გახდა სპორტის ოსტატი, სამამულო ომში მონაწილეობის შემდეგ კი ჩაება პედაგოგიურ და საწვრთნო მუშაობაში. 1943 წლიდან გარდაცვალებამდე იგი მუშაობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საწყლოსნო სახეობის კათედრაზე. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას, ხელმძღვანელობდა კომპლექსურ სამეცნიერო ჯგუფს საქართველოს მოცურავეთა ნაკრებ გუნდთან და აქ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები განაზოგადა სადოქტორო დისერტაციაში. სამწუხაროდ, უახლოეს ხანს დანიშნული დისერტაციის დაცვა აღარ შედგება. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ს. ილინის ნათელი ხსოვნა დარჩება ყველას გულში, ვისაც კი ოდესმე საქმე ჰქონია ამ შესანიშნავ პიროვნებასთან.

**საქართველოს ცურვის ფედერაცია,**
**საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.**

## ყველა ვაკანსია შეივსო

**ჩატარდა** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირების ბოლო კალენდარული მატჩები. ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა რვა გუნდმა — იუგოსლავიამ, ესპანეთმა, საბერძნეთმა, ბულგარეთმა, იტალიამ, პოლონეთმა, საფრანგეთმა და ჩეხოსლოვაკიამ. საბჭოთა ნაკრები — ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ფინალურ ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებს.

გთავაზობთ ბოლო ტურის შედეგებს:

**პირველი ჯგუფი.** რუმინეთი — შვეცია 86:95, საბერძნეთი — ბულგარეთი 112:79. საბოლოო მდგომარეობა: საბერძნეთი — 11 ქულა, ბულგარეთი — 10, შვეცია — 9, რუმინეთი, — 6.

**მეორე ჯგუფი.** იტალია — ჰოლანდია 126:78, პოლონეთი — ბელგია 85:72. იტალია — 11, პოლონეთი — 9, ჰოლანდია და ბელგია — 8-8 ქულა.

**მესამე ჯგუფი.** ინგლისი — გერმანია 78:81, იუგოსლავია — ესპანეთი 95:82. იუგოსლავია — 12, ესპანეთი — 10, გერმანია — 8, ინგლისი — 6.

**მეოთხე ჯგუფი.** ისრაელი — ჩეხოსლოვაკია 83:92. საფრანგეთი — 10, ჩეხოსლოვაკია და საბჭოთა კავშირი — 9-9, ისრაელი — 8. ჩეხოსლოვაკიელებს ორი შეხვედრის ჯამში უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდათ (პლიუს 6) და მეორე ფინალისტის ვინაობაც ამან გადაწყვიტა.

### რუმინელთა გამარჯვება

ბუქარესტში გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩი რუმინეთისა და სან-მარინოს გუნდებს შორის. ეს იყო წლევანდელი ბოლო შეხვედრა ევროპის II შესარჩევ ჯგუფში, რუმინელებმა დიდი უპირატესობით აჯობეს მეტოქეებს — 6:0.

ამ შესარჩევ ჯგუფში გათამაშება განახლდება გაისად, ახლა კი, გუნდების მდგომარეობა ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 3 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 7-5 | 2 |
| სან-მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-10 | 0 |

### პატივცემულო რედაქცია!

თქვენი გაზეთის საშუალებით მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას და პიროვნებას, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამას წინათ თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ვეტერან ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მოწყობაში ჩემი სახელობის პრიზზე.

პატივისცემით **ხლავა მეტრეველი.**

# კბილები — 15 მილიონ დოლარად

**დიდი** ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც 16 წლის თბილისელმა ვეფხია სულუაშვილმა ერთი უჩვეულო თვისება აღმოაჩინა საკუთარ თავში — კბილებით ასეულ კილოგრამობით ტვირთს სძრავს ადგილიდან. ცოტა ხნის წინ მოსკოვში ორი სხვადასხვა მარკის ავტომანქანა გაათრია რამდენიმე ათეულ მეტრზე. მაშინ ვეფხიას ამ „აქციას“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. და აი, კვლავ მოსკოვი და კვლავ ალიარება — „რკინის კბილებიანმა“ ჭაბუკმა 5-ტონიანი, „გაზ-3307“ მარკის ავტომობილი 40 მეტრზე გასწია, რამაც უცხოელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია, ამერიკის ერთ-ერთი ტელეკომპანიის წარმომადგენელმა ფირზე აღბეჭდა ვეფხიას და ავტომობილის ეს „შერკინება“ და მას ამერიკელი ტელემაყურებლებიც გაეცნობიან.

სხვათა შორის, ვეფხია ერთადერთი „კბილებით მორკინალია“, რომელიც კბილსაცავების გარეშე სცდის ხოლმე ძალას. ალბათ, ამიტომაც, იქვე, მოსკოვში, კანადის ერთ-ერთმა სადაზღვევო კომპანიამ მისი უჩვეულო კბილები 15 მილიონ დოლარად შეაფასა და მალე ვ. სულუაშვილი ამ კომპანიის კლიენტიც გახდება.

ამ დღეებში კი, ვეფხია სულუაშვილი „გინესის წიგნის“ სხვა ქართველ პრეტენდენტებთან ერთად ამერიკაში გაემგზავრება, სადაც „არაჩვეულებრივ რეკორდსმენებად“ წოდებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვა.

**ჯაბა ლეონიძე**





**სურათებზე:** ორიოდ წამიც და ვეფხია სულუაშვილი ადგილიდან დაძრავს „გაზ-3307“ მარკის ავტომობილს.

ი. შტუტინის ფოტო.

# უნივერსალური ოლიმპიელი

**ბოლო** დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სულ ახალ-ახალ პრიზებს აწესებს სპორტსმენთათვის, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდაში. ერთი ასეთი ახალი პრიზის სახელწოდებაა „სპორტი და ქალი“, რომელიც მხოლოდ მშვენიერთა სქესის წარმომადგენელთათვის არის განკუთვნილი.

ამ დღეებში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით საპატიო პრიზი გადაეცა ყოფილ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე სპორტსმენს კრისტა ლიუდვიგ-როტენბურგერს, რომელმაც 1988 წელს ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვა როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის თამაშებში. როტენბურგერი მართლაც იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული სპორტსმენია და მისი ორმაგი წარმატება ოლიმპიადებში უნიკალური ფაქტია. ზამთრის ოლიმპიადაზე იგი ჩემპიონი გახდა საციგურაო სპორტში, ზაფხულის ოლიმპიადაზე კი ველოსიპედისტთა ტურნირი მოიგო. პრიზის გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა სპორტსმენებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და გულშემატკივრებმა.

## კალეიდოსკოპი

● **პროფესიული** ველოსპორტის „ვარსკვლავმა“, მსოფლიოს ექსჩემპიონმა, იტალიელმა ჯუზეპე სარონიმ გადაწყვიტა თავი მიანებოს სპორტს. სარონის, რომელიც ამჟამად 33 წლისაა, თავის ყველაზე დიდ მიღწევად მიაჩნია „ჯირო დ იტალიაში“ გამარჯვება.

● **როგორც** ირკვევა, ესპანეთის მეორე ლიგის ფეხბურთელთა კლუბები ვერასდროს ამოვლენ ვალიდან. მიმდინარე სეზონის დასაწყისისთვის კლუბების დეფიციტმა 40 მილიონი დოლარი შეადგინა, მისი ანაზღაურების გზა კი არა სჩანს.

● **ცნობილი** რუმინელი ნიჩბოსანი, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ბაიდარებსა და კანოეში ივან პაცაიკინი ავტოკატასტროფაში მოჰყვა. ექიმების აზრით, მას დაუშავდა თირკმელები, მაგრამ მდგომარეობა მთლად უიმედო არ არის. პაცაიკინი შეიძლება დაუბრუნდეს სპორტს.

● **ერაყის** სამხედრო მოსამსახურეებმა დაარბიეს ოკუპირებული ქუვეითის ფეხბურთის ფედერაციის შტაბ-ბინა, გაიტაცეს პრიზები, მათ შორის „ოქროს თასი“, რომელიც ქვეყნის ფეხბურთელებს გადაეცათ სპარსეთის ყურის ქვეყნების ჩემპიონატში გამარჯვებისათვის.

● **1991 წლის** 1 იანვრიდან გაერთიანდება გერმანიის ოლიმპიური საზოგადოება და ოლიმპიური იდეების განვითარების ყოფილი ცენტრი (გდრ). ახალი ორგანიზაცია კოორდინაციას გაუწევს მომავალ ოლიმპიელთა საქმიანობას, მოაწყობს „ფეირ-პლეის“ კონკურსებს, აქტიურად ითანამშრომლებს ახალგაზრდა ოლიმპიელებთან.

### „სპორტპროგნოზი“, 50-ე ტირაჟის პროგრამა (15-16 დეკემბერი)

| სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა) | | პროგნოზი: | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. „სტროიტელი“ (სიქტივკარი) — „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი) | 15. XII | 70 | 20 | 10 | 1 |
| 2. „ვოდნიკი“ (არხანგელსკი) — „სიბსელმაში“ (ნოვოსიბირსკი) | 15. XII | 80 | 10 | 10 | 2 |
| 3. „სევერონიკელი“ (მონჩეგორსკი) — „ენისეი“ (კრასნოიარსკი) | 15. XII | 10 | 20 | 70 | X |
| **საერთაშორისო ტურნირი შაიბიან ჰოკეიში „იზვესტიის“ პრიზზე** | | | | | |
| 4. ჩეხოსლოვაკია — კანადა | 16. XII | 50 | 40 | 10 | 2 |
| 5. სსრ კავშირი — შვეცია | 16. XII | 70 | 20 | 10 | 2 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 6. „ბარი“ (ბარი) — „სამპდორია“ (გენუა) | 16. XII | 40 | 40 | 20 | X |
| 7. „ბოლონია“ (ბოლონია) — „ლეჩე“ (ლეჩე) | 16. XII | 40 | 50 | 10 | 1 |
| 8. „ჯენოვა“ (გენუა) — „ჩეზენა“ (ჩეზენა) | 16. XII | 30 | 60 | 10 | 2 |
| 9. „ინტერი“ (მილანი) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია) | 16. XII | 60 | 30 | 10 | 1 |
| 10. „ნაპოლი“ (ნეაპოლი) „ლაციო“ (რომი) | 16. XII | 60 | 30 | 10 | 1 |
| 11. „რომა“ (რომი) — „მილანი“ (მილანი) | 16. XII | 10 | 60 | 30 | X |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 12. „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „რეალი“ (სან-სებასტიანი) | 16. XII | 60 | 30 | 10 | 1 |
| 13. „სპორტინგ ხიხონი“ (ხიხონი) — „ლოგრონიესი“ (ლოგრონიო) | 16. XII | 40 | 50 | 10 | X |

**რედაქტორი**
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძიძამიძე.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20